

საქართველოს საპროკურორო საბჭოს

2016 წლის 30 მაისის სხდომის

ოქმი №3

თბილისი,

30 მაისი 2016 წ.

სხდომა დაიწყო 17.00 საათზე

სხდომას ესწრებოდნენ:

საქართველოს საპროკურორო საბჭოს (შემდგომში – საბჭოს) წევრები:

- საბჭოს თავმჯდომარე – საქართველოს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი;
- საქართველოს პარლამენტის წევრი, პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე – ეკა ბესელია;
- ქალაქ თბილისის პროკურატურის შინაგან საქმეთა ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების პროკურორი – ანა კალანდაძე;
- ქალაქ რუსთავის რაიონული პროკურორი – კონსტანტინე სირაძე;
- საქართველოს მთავარი პროკურატურის ფინანსთა სამინისტროში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის უფროსი პროკურორი – გიგა მნელაძე;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორის მოადგილე – ანზორ უსტიაძე;
- სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსი – მამუკა ფიფაძე;
- საქართველოს მთავარი პროკურატურის საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე – გოჩა ფარულავა;
- საქართველოს მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის საპროკურორო ზედამხედველობის სამმართველოს უფროსი – ნათია სონდულაშვილი;
- მცხეთის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე, მოსამართლე – ვასილ მშვენიერაძე;
- ბოლნისის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე, მოსამართლე – სერგო მეთოფიშვილი;

- სამეცნიერო საზოგადოების წარმომადგენელი, სასწავლო უნივერსიტეტ „ევროპული აკადემიის“ პროფესორი – პოლიკარპე (თემურ) მონიავა;
- სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ აღმასრულებელი საბჭოს წევრი, ადვოკატი – ირმა ჭვადუა.

კომისიის სხდომაზე მოწვეული გახლდათ საქართველოს მთავარი პროკურორი ირაკლი შოთაძე.

კომისიის სამდივნოს წარმომადგენელი:

- ნათია ჩირიკაშვილი – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსი.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 17:00 საათზე და შეამოწმა საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა. საბჭოს თავმჯდომარემ დაადგინა, რომ, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2015 წლის 24 ოქტომბრის №105 ბრძანებით დამტკიცებული „საპროკურორო საბჭოს დებულების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას, რადგანაც სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ კომისიას გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. საქართველოს იუსტიციის მინისტრის მისასალმებელი სიტყვა;
2. საქართველოს მთავარი პროკურორის, ბატონი ირაკლი შოთაძის, ანგარიშის მოსმენა პროკურატურის ორგანოთა საქმიანობის შესახებ („პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8¹ მუხლის შესაბამისად);
3. სხვადასხვა.

სხდომის გახსნისას თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ დღეს საპროკურორო საბჭო შეიკრიბა, რათა მოისმინოს მთავარი პროკურორის ანგარიში, როგორც ამას ითვალისწინებს კანონი. მისი აღნიშვნით, ანგარიშის მოსმენის შემდეგ შესაძლებელია პროკურატურის ორგანოებთან დაკავშირებული საკითხების შესახებ კითხვების დასმა და დისკუსიის გამართვა, ოღონდ იმ უფლებამოსილების ფარგლებში, რა უფლებამოსილებაც აქვს საბჭოს კანონის თანახმად. ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ

სიტყვა გადასცა საქართველოს მთავარ პროკურორს, ბატონ ირაკლი შოთაძეს, რათა მას წარმოედგინა ანგარიში პროკურატურის ორგანოთა საქმიანობის შესახებ.

საქართველოს მთავარი პროკურორი მიესალმა საბჭოს წევრებს და ყველას მიულოცა პროკურატურის მუშავის პროფესიული დღე. როგორც მან აღნიშნა, სიმბოლურია ასეთი დამთხვევა და მნიშვნელოვანი, რომ სწორედ ამ დღეს საქართველოს ისტორიაში მთავარი პროკურორი საპროკურორო საბჭოს წინაშეა წარმოდგენილი შესაბამისი ანგარიშით. მთავარი პროკურორის განცხადებით, ანგარიშში ასახულია სისხლის სამართლის პოლიტიკასთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემები, ასევე, ინფორმაცია პროკურატურის მუშავთა პროფესიული უნარ-ჩვევების ამაღლებასთან მიმართებით გატარებული ღონისძიებების შესახებ.

უპირველესად, მთავარმა პროკურორმა ხაზი გაუსვა იმ რეფორმის მნიშვნელობას, რომელთა შედეგადაც შეიქმნა საპროკურორო საბჭო, რაც უმნიშვნელოვანესი იყო საქართველოს პროკურატურისა და, ზოგადად, ქვეყნისთვის. როგორც მან აღნიშნა, ამ რეფორმის შემდგომ პროკურატურის რეფორმირების პროცესი, რა თქმა უნდა, არ დასრულებულა და უწყება მუშაობს ძირითადი პრიორიტეტების მიმართულებით, რათა უფრო განვითარდეს და გაუტოლდეს მოწინავე სამართლებრივი ქვეყნების პროკურატურებს. მისივე თქმით, ამ მიმართულებით არაერთი ღონისძიება თუ დიდი სამუშოა ჩატარებული.

ამის შემდეგ მთავარმა პროკურორმა საბჭოს წარუდგინა დეტალური ანგარიში პროკურატურის ორგანოთა საქმიანობის შესახებ (გთხოვთ, იხ. ბმული: <http://pog.gov.ge/res/docs/sakartvelosmtavariprokurorisangarishi.pdf>).

საპროკურორო საბჭოს თავმჯდომარემ მთავარ პროკურორს მაღლობა გადაუხადა წარმოდგენილი ანგარიშისთვის და კითხვა-პასუხის რეჟიმი გახსნილად გამოაცხადა.

ქალბატონმა თეა წულუკიანმა აღნიშნა, რომ მას აწუხებდა დანაშაულის კვალიფიკაციის თემა, განსაკუთრებით, როცა მალადობრივი დანაშაულის გახმაურებულ საქმეებთან დაკავშირებით მსუბუქი კვალიფიკაციის მინიჭებაზე მედიით გაუდერებული პირველადი ინფორმაცია ქმნის საზოგადოებაში პროკურატურაზე ერთიან ნებატიურ შთაბეჭდილებას, მიუხედავად იმისა, ამის შემდგომ ბრალდება გადაკვალიფიცირდება თუ არა. საინტერესო იქნებოდა მთავარი პროკურორის პოზიცია და მიდგომები - როგორ უნდა მოხდეს საზოგადოებამდე ინფორმაციის სწორად მიტანა, ისე, რომ ამან რაც შეიძლება ნაკლებად იმოქმედოს მოსახლეობის ნდობის ხარისხზე საგამოძიებო ორგანოს მიმართ.

მთავარი პროკურორის მიერ წარმოდგენილ ანგარიშზე საკუთარი პოზიციის დაფიქსირების შემდეგ თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია



პროცესურორების გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების კუთხით გადადგმულ მნიშვნელოვან ნაბიჯზე. კერძოდ, როგორც ქალბატონმა თეა წულუკიანმა აღნიშნა, მიმდინარე წელს მან აწარმოა მოლაპარაკებები ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსთან, რათა ქართველ პროცესურორებს ჰქონდათ შესაძლებლობა, ერთწლიანი მივლინებით ემუშავათ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოდან შესული საჩივრების შესწავლასა და გადაწყვეტილებების მომზადებაზე. ევროპული სასამართლოდან მიღებული თანხმობის შემდეგ პროცესურატურაში შიდა კონკურსის გზით შეირჩა ორი პროცესურორი, რომლებიც უკვე 2016 წლის სექტემბრიდან გაემგზავრებიან სტრასბურგში. ვინაიდან სახელმწიფოს მიერ ფინანსდება ეს მივლინება, დიდი ხარჯებიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე მხოლოდ ორი პროცესურორი შეირჩა. თუმცა, იუსტიციის სამინისტრო აწარმოებს მოლაპარაკებებს დონორ ორგანიზაციებთან ფინანსური სახსრების მოძიების კუთხით, რათა სამომავლოდ შესაძლებელი გახდეს, სულ მცირე, 10 პროცესურორის გაგზავნა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში. თავმჯდომარის განცხადებით, ეს იქნება წარმოუდგენლად დადებითი შედეგის მომტანი პროცესურორთა პროფესიული განვითარებისათვის.

მთავარი პროცესურორის მიერ წარმოდგენილ ანგარიშთან დაკავშირებით კითხვები დასვა საბჭოს წევრმა, ქალბატონმა ირმა ჭკადუამ. იგი მიესალმა არსებულ ტენდენციას ბრალის კვალიფიკაციასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ, მისი აზრით, ეს არ იწვევს დღეს საზოგადოების უნდობლობას. ის, ასევე, მიესალმა პროცესურატურის მხრიდან საქმეების გახსნის მაჩვენებელს, მაგრამ იქვე დასმინა, რომ ბევრი საქმე კვლავ მიმდინარეა. მან მაგალითად მოიყვანა ჩამორთმეული ქონებები - მაშინ, როდესაც 50 000 ქონებაა ჩამორთმეული, დაბრუნებული ქონებების რიცხვი საგრძნობლად მცირეა. ამასთან, იქვე ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ პრობლემა შესაძლებელია, გამოწვეული იყოს არასაკმარისი ბიუჯეტით და კადრების რესურსით, რაც კანონმდებელს თავის დროზე უნდა გაეთვალისწინებინა. ქალბატონი ირმა შეეხო, ასევე, საპროცესო გარიგებების პირობებთან დაკავშირებულ პრობლემებს, რასაც ის და მისი კოლეგა ადვოკატები ამ ბოლო დროს აწყდებიან. კერძოდ, პროცესურები ხშირად ცვლიან საპროცესო გარიგებების პირობებს, რაც ადვოკატებს მათი დაცვის ქვეშ მყოფ პირებთან მიმართებით უხერხულ ვითარებას უქმნის, მსგავსი მიდგომა კი ადვოკატის კეთილსინდისიერებაში ეჭვის საფუძველს აჩენს.

ირმა ჭკადუა შეეხო ნარკოდანაშაულთან მიმართებით არსებულ პრობლემებსაც და აღნიშნა, რომ ამ მხრივ ბევრი პრეტენზია საზოგადოებაში. ეს განპირობებულია იმით, რომ, მიუხედავად კანონით გარკვეულწილად სასჯელების შემსუბუქებისა, პროცესურატურის მხრიდან საკმაოდ მაღალი წლების შეთავაზება ხდება ამ კატეგორიის დანაშაულებზე, რაც არ არის ხშირ შემთხვევაში სასჯელის ადეკვატური.

პროცესურატურის სტრატეგიის შემუშავებაში ამერიკული მოდელისა და გამოცდილების გაზიარებასთან დაკავშირებით კითხვა დასვა საბჭოს წევრმა, ბატონმა პოლიკარპე მონიავამ - ხომ არ ნიშნავდა ამგვარი გამოცდილების გაზიარება კონტინენტური ევროპის



სამართლის სისტემიდან საერთო სამართლის სისტემაზე გადასვლას. მისი განმარტებით, გასათვალისწინებელია, რომ ქვეყნებში, სადაც ნაადრევად მოხდა საერთო სამართლის სისტემაზე გადასვლა, ხალხში შეიქმნა კოლიზია ან გაუცხოება სამართლისადმი და სამართალდამცავი ორგანოებისადმი. მაგალითისთვის მან იაპონიის შემთხვევაც მოიყვანა.

ბატონი პოლიკარპეს მეორე შეკითხვა შეეხებოდა სქესობრივ დანაშაულს. კერძოდ, არასრულწლოვანთა მიერ შექმნილ ოჯახში ჩადენილ დანაშაულს. მან ყურადღება გაამახვილა ევროპულ გამოცდილებაზე და აღნიშნა, რომ ესპანეთში საქორწინო ასაკი მამაკაცისთვის არის 14 წელი, ხოლო ქალბატონებისთვის - 12 წელი. ამის გათვალისწინებით, ბატონმა პოლიკარპემ დასვა კითხვა - რამდენად მიზანშეწონილი იქნებოდა საქართველოში არსებული კანონმდებლობის გამკაცრება, რასაც შესაძლოა, საერთოდ არ მოჰყვეს სასურველი შედეგი და ხომ არ იქნებოდა უკეთესი საქორწინო ასაკის დაწევა. ამ კონკრეტულ იდეას კრიტიკა მოჰყვა საბჭოს თავმჯდომარისგან, რომელმაც განაცხადა, რომ მოზარდმა გოგონამ ჯერ სწავლა და ჩამოყალიბება უნდა მოასწროს და მერე შექმნას ოჯახი.

დასმული კითხვების შემდეგ მთავარი პროკურორი პასუხების რეჟიმზე გადავიდა. კერძოდ, მან ყურადღება გაამახვილა ანალიტიკური მონაცემების სიმწირეზე, რაც განპირობებული იყო იმ მძიმე მემკვიდრეობით, რაც დახვდა პროკურატურას. როგორც ბატონმა ირაკლიმ აღნიშნა, ბევრ შემთხვევაში უწევთ ინფორმაციის ხელით დათვლა, რაც ართულებს წინა წლების მონაცემების ინდივიდუალიზაციას, თუმცა, მაქსიმალურად შეეცდებიან, საბჭოს მიაწოდონ მოთხოვნილი ინფორმაცია.

გამომიების დაწყების კვალიფიკაციასთან დაკავშირებით მთავარმა პროკურორმა აღნიშნა, რომ გამომიება იწყება შეტყობინების საფუძველზე, ანუ მინიმალური ინფორმაციის მიღების შედეგად, რასაც საწყის ეტაპზე შესაძლოა, მოჰყვეს დანაშაულისთვის პირობით კვალიფიკაციის მინიჭება. ერთადერთი გამოსავალი იქნებოდა ძველ სისტემაზე გადასვლა, რაც მოიცავს მოკვლევის ეტაპის დაბრუნებას, რომლის დროსაც ხდებოდა მოცემული ინფორმაციის დეტალური გადამოწმება და მხოლოდ ამის შემდგომ - კვალიფიკაციის მინიჭება. მისივე თქმით, მთავარია, საზოგადოებამდე მიტანილ იქნეს, სისხლისსამართლებრივი დევნა რა კვალიფიკაციით იწყება და რა არის საბოლოო ბრალი, შემდგომ კი, სასამართლო რა გადაწყვეტილებას მიიღებს. პრობლემას ხშირ შემთხვევაში იწვევს დაინტერესებული პირების მიერ საკითხით მანიპულირება.

მთავარმა პროკურორმა დადებითად შეაფასა სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამომიების დეპარტამენტის მუშაობა და აღნიშნა, რომ კეთდება მაქსიმუმი, რათა დაზარალებულ მოქალაქეებს აუნაზღაურდეთ საჯარო მოხელეთა არასწორი



ქმედებების შედეგად მათ მიმართ მიყენებული ზიანი. რაც შეეხება ქონების დაბრუნებას, პირველ რიგში, ბრუნდება სახელმწიფოს ბალანსზე რიცხული ქონება, ხოლო ის, რაც გაყიდული ან გადაყიდულია, საჭიროებს დამატებითი მექანიზმების მოფიქრებას, რომ არ დაზარალდეს არცერთი მხარე. პროცესის დასაჩქარებლად საჭიროა დეპარტამენტის თანამშრომლების რაოდენობის გაზრდა, რაც, თავის მხრივ, დამატებით ხარჯებთანაა დაკავშირებული.

ბატონმა ირაკლი შოთაძემ ყურადღება გაამახვილა ახალ კანონპროექტზე, რომელიც ამჟამად პარლამენტშია წარდგენილი. კანონპროექტის მიხედვით, ახლად აღმოჩენილი გარემოებების საფუძველზე შესაძლებელია, გადაისინჯოს გარკვეული განაჩენები, თუ არის პროკურატურის შემაჯამებელი გადაწყვეტილება. იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტი საბოლოოდ მიიღებს ამ კანონპროექტს, ბევრ მოქალაქეს მიეცემა ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის გადასინჯვის შესაძლებლობა, რაც მნიშვნელოვნად წაადგება სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის საქმიანობასაც.

საპროცესო შეთანხმების პირობების ცვლილებასთან დაკავშირებით მთავარმა პროკურორმა დასძინა, რომ პრაქტიკაში მას ასეთი ტენდენციის შესახებ არ სმენია. შეთანხმებული პირობების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ ოპერატიული ინფორმაციის მიღების შემთხვევაში, თუ არსებობს ინფორმაცია, რომ ამ ყველაფრის მიღმა შეიძლება, რაღაც ცუდი ხდებოდეს.

მთავარმა პროკურორმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ნარკოდანაშაულზე სისხლის სამართლის პოლიტიკა ხორციელდება მართლზომიერად; პიროვნებიდან გამომდინარე, ხდება შეთანხმება რეალურ, დაბალ სასჯელზე. მითუმეტეს, როდესაც არის პირველი ნასამართლობა, შეთანხმება, როგორც წესი, ხდება პირობით სასჯელზე. თუმცა, მომავალში ჩატარდება შესაბამისი კვლევა და შესაძლებელი იქნება პოლიტიკის გადახედვა და გაანალიზება შესაძლო ცვლილებების შეტანის მიზნით.

კონტინენტური სამართლის სისტემიდან საერთო სამართლის სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით ბატონმა ირაკლი შოთაძემ განაცხადა, რომ გამოცდილების გაზიარებით გარკვეული წინსვლა შეინიშნება საქართველოს სისხლის სამართლის პოლიტიკაში. მაგალითად მან მოიყვანა საქმეების საპროცესო შეთანხმებით დასრულების სიმრავლე, ასევე, დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევა, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი, რომლის გარეშეც ჩვენი სისტემა დღეს ვერ იარსებებდა.

ბატონმა ირაკლი შოთაძემ აღნიშნა, რომ სქესობრივი დანაშაულის შემთხვევები, განსაკუთრებით, არასრულწლოვანთა ქორწინება, თვალშისაცემი პრობლემაა დღევანდელ



რეალობაში. მსგავსი რამ განსაკუთრებით მრავლად არის ისლამის მიმდევარ მოსახლეობაში. დაქორწინების ფაქტი არსად რეგისტრირდება და ხშირად მხოლოდ სამშობიაროში ხდება ოჯახური კავშირის არსებობის დაფიქსირება. თუმცა, პროექტ „ადგილობრივი საბჭოს“ ფარგლებში პროკურატურა გააგრძელებს პრევენციული ღონისძიებების გატარებას.

ბატონი პოლიკარპე მონიავას შენიშვნაზე, რომ ხშირად პროკურატურა არ იწყებს გამოძიებას შესაბამისი განცხადების საფუძველზე, მთავარმა პროკურორმა განაცხადა, რომ პროკურატურა იძიებს თითოეულ საქმეს, რაზეც კი დანაშაულის ჩადენის საფუძვლიანი ეჭვი აქვს. ამ ხრივ მან სთხოვა ბატონ პოლიკარპეს, მოეწოდებინა კონკრეტული შემთხვევები - თუ არსებობდა საფუძველი და პროკურატურამ არ დაიწყო საქმის ძიება. საბჭოს თავმჯდომარემაც, ქალბატონმა თეა წულუკიანმა, ბატონ პოლიკარპე მონიავას სთხოვა, სხდომის დასრულების შემდეგ პროკურატურისთვის მიეწოდებინა კონკრეტული მაგალითები.

ბატონმა პოლიკარპე მონიავამ რეკომენდაციის სახით აღნიშნა, რომ საჭიროა, პროკურატურამ ყურადღება მიაქციოს მასმედიის მიერ გაშუქებული ინფორმაციის სიზუსტესა და ჭეშმარიტებას, ვინაიდან ამას შეუძლია უარყოფითი დამოკიდებულება შეუქმნას საზოგადოებას პროკურატურის მიმართ.

საბჭოს წევრმა, ბატონმა სერგო მეთოფიშვილმა დადებითად შეაფასა მთავარი პროკურორის მიერ წარმოდგენილი ანგარიში და აღნიშნა, რომ ბატონი ირაკლი შოთაძის მთავარ პროკურორად დანიშვნის შემდეგ, სასამართლოში გაიზარდა პროკურორების მიერ შუამდგომლობების დასაბუთებულობის ხარისხი.

საბჭოს წევრმა, ქალბატონმა ეკა ბესელიამ, დადებითად შეაფასა პარლამენტიდან გადაგზავნილ განცხადებებზე პროკურატურის მხრიდან რეაგირების მაჩვენებლის ზრდა. ჩატარებული კვლევის საფუძველზე ნათელი გახდა, რომ რეაგირების რიცხობრივმა მაჩვენებელმა, წინა წლებთან შედარებით, სარძნობლად იმატა. ქალბატონმა ეკამ მთავარ პროკურორს სთხოვა, დაესახელებინა ის ძირითადი გამოწვევები და სირთულეები, რაც დღეს მდგომარეობით დგას პროკურატურის წინაშე.

მთავარმა პროკურორმა ასეთი სახის გამოწვევად დასახელა:

- 1) პროკურორების შუამდგომლობის დაზუსტება-დასაბუთების ზრდა, მათ შორის აღკვეთის ღონისძიებების მოთხოვნის მიმართულებით. როგორც მან აღნიშნა, ამჟამად მუშაობენ სასამართლოს პრაქტიკის განზოგადებაზე - რა შემთხვევაში



კმაყოფილდება და რა შემთხვევაში შეიძლება არ დაკმაყოფილდეს ასეთი შუამდგომლობები;

- 2) პროცურორების დამოუკიდებლობის ზრდა რაიონებში; მიმდინარეობს მუშაობა, რათა შესაძლებლობის ფარგლებში გაიზარდოს პროცურორების დამოუკიდებლობა ადგილზე, ამ მხრივ მნიშვნელოვანია მათი უნარ-ჩვევების ამაღლება და პროფესიული ზრდა, რაზე მუშაობაც უკვე დაწყებულია. რიგით პროცურორს დღეს მეტი პასუხისმგებლობა შეუძლია აიღოს, ვიდრე ეს იყო წინა წლებში, რაც პროცურატურის წინსვლასა და განვითარებაზე მეტყველებს;
- 3) დასახვეწია საპროცესო შეთანხმების პირობები და ამ მხრივაც მიმდინარეობს მუშაობა. არის შემთხვევები (დაახლოებით 2%), როდესაც სასამარლო არ ამტკიცებს საპროცესო შეთანხმებას და ხდება სასამართლო გადაწყვეტილებების განზოგადება, რომ ასეთი შეცდომები აღარ იყოს.

ბატონმა ირაკლი შოთაძემ საბჭოს მადლობა გადაუხადა და იკითხა, თუ იყო მისაღები წარმოდგენილი ანგარიშის ფორმა და ხომ არ ჰქონდა საბჭოს ანგარიშთან დაკავშირებით დამატებითი შენიშვნები და სამომავლო რეკომენდაციები. აღნიშნულთან დაკავშირებით, თავმჯდომარემ წევრებს მოუწოდა, მსგავსი შენიშვნებისა და რეკომენდაციების არსებობის შემთხვევაში, ერთი კვირის ვადაში წარმოადგინონ ინფორმაცია.


საბჭოს წევრმა, ქალბატონმა ეკა ბესელიამ, განაცხადა, რომ უახლოეს მომავალში პარლამენტს მზად ექნება ახალი რეკომენდაციები უწყებებისთვის, მათ შორის, პროცურატურისთვის, რომელიც პარლამენტის სახელით გადაეცემა პროცურატურას.

სხდომის დასასრულოს, ბატონი ირაკლი შოთაძე წინადადებით გამოვიდა და აღნიშნა, რომ მას შემდეგ, რაც მზად იქნება პროცურატურის საქმიანობის ექვსწლიანი სტრატეგია, სამოქმედო გეგმა და ეთიკის კოდექსი, სურს საბჭოს პრეზენტაციის სახით წარუდგინოს. როგორც თავმჯდომარემ აღნიშნა, საბჭო აუცილებლად შეიკრიბება და მოისმენს აღნიშნულ ინფორმაციას, როგორც კი იქნება პროცურატურის მხრიდან მზაობა.

საპროცურორო საბჭოს თავმჯდომარემ, ქალბატონმა თეა წულუკიანმა, სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომა დასრულდა 19:20 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე:



თეა წულუკიანი

საბჭოს წევრები:

ეკა ბესელია

ანა კალანდაძე

კონსტანტინე სირაძე

გიგა მნელაძე

ანზორ უსტიაძე

მამუკა ფიფია

გოჩა ფარულავა

ნათია სონდულაშვილი

ვასილ მშვენიერაძე

სერგო მეთოფიშვილი

პოლიკარპე (თემურ) მონიავა

ირმა ჭვადუა